საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1179 2016 წლის 22 ივნისი ქ. თბილისი

იუნიორ ძალოსანთა შორის 2016 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ჩინეთის ტაიპეის (ტაივანის) დელეგაციის მონაწილეობასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ქმედებების შესახებ

1. „იმ ქვეყნების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა მოქალაქეებსაც შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 ივნისის №255 დადგენილების დანართის მე-4 შენიშვნის თანახმად, იუნიორ ძალოსანთა შორის 2016 წლის მსოფლიო ჩემპიონატში (ქ. თბილისი, 2016 წლის 23 ივნისი - 2016 წლის 2 ივლისი) მონაწილეობასთან დაკავშირებით, 2016 წლის 23 ივნისიდან 2016 წლის 3 ივლისის ჩათვლით პერიოდში, საქართველოში უვიზოდ შემოსვლისა და ყოფნის უფლება მიეცეთ აღნიშნული ჩემპიონატის მონაწილე ჩინეთის ტაიპეის (ტაივანის) დელეგაციის წევრებს (სპორტსმენები, მწვრთნელები, მსაჯი, მენეჯერი, დელეგაციის ხელმძღვანელი).

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს შესაბამისი პროცედურების განხორციელება, ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ პირთა საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის

მიზნით, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ წარდგენილი სიის შესაბამისად.

3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ პირთა საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა და მათი იუნიორ ძალოსანთა შორის 2016 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა არ ნიშნავს საქართველოს მხრიდან ჩინეთის ტაიპეის (ტაივანის) რაიმე ფორმით აღიარებას.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი